ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3959397

ნომერი: AR1598888

თარიღი : 05.05.2018

გაცემის თარიღი : 14.05.2018

გაცნობის თარიღი : 14.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბოჭორიშვილი პ/ნ 01017011954
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 4 ბ. 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 4 მაისის №3946648 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 5 მაისს №AR1598888 განცხადებით მომართა ირაკლი ბოჭორიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 4 მაისის №3946648 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მიწის ნაკვეთის ფართობის მითითებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3174806 ბრძანებით ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე №01.72.14.014.247 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2018 წლის 4 მაისის №3946648 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3174806 ბრძანებაში. კერძოდ: არსებულ საკადასტრო ერთეულს (ს/კ: №01.72.14.014.247) დაემატა შემდეგი ოთხი საკადასტრო ერთეული: (ს/კ: №01.72.14.014.248, განცხადების რეგისტრაცია: №882010922746, მომზადების თარიღი: 14/12/10 ფართობი: 148 კვ.მ; ს/კ: №01.72.14.014.818, განცხადების რეგისტრაცია: №882017308779 მომზადების თარიღი: 21/04/2017 ფართობი: 148 კვ.მ; ს/კ: №01.72.14.014.837, განცხადების რეგისტრაცია: №882017479596 მომზადების თარიღი: 07/06/2017, ფართობი: 7 კვ.მ; ს/კ 01.72.14.014.838, განცხადების რეგისტრაცია: №882017497306 მომზადების თარიღი: 13/06/2017 ფართობი: 11 კვ.მ.) საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალფუნქციური შენობა: საკონდიტრო, მაღაზია, საცხობი, ოფისი და მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფი დამხმარე ფართები. ფუნქციურ დანიშნულებად მიეთითა: საოფისე, კომერციული, სავაჭრო, დამხმარე. განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზ(ებ)ი დაუდგინდა დანართის შესაბამისად. ასევე გაფრთხილების ველში დაფიქსირდა, რომ პროექტის შეთანხმების სტადიაზე გაერთიანებულ უნდა იქნას აღნიშნული მიწის ნაკვეთები და მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო ფუნქცია შეიცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

სამსახურის მიერ, საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული N 01.72.14.014.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობი, კერძოდ 1000.00 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირებულ იქნა 148 კვ.მ.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (რეგისტრაციის ნომერი: N 882017260475 03/04/2017; მომზადების თარიღი: 03/04/2017 14:32:48), N01.72.14.014.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1000.00 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 4 მაისის №3946648 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 4 მაისის №3946648 ბრძანებაში. კერძოდ, აღნიშნულ ბრძანებაში N01.72.14.014.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 1000.00 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 4 მაისის №3946648 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3174806 და 2018 წლის 4 მაისის №3946648 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.